ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტსა

და

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბავშვთა და მოზარდთა მედიცინის დეპარტამენტს შორის

მემორანდუმის მხარეები

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტი, ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ ნუგზარ ყავლაშვილის სახით და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბავშვთა და მოზარდთა მედიცინის დეპარტამენტი, დეპარტამენტის ხელმძღვანელის, პროფესორ ყარამან ფაღავას სახით, რომლებიც შემდგომში იწოდებიან „მხარეებად“, ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების დამუშავების და დანერგვის სფეროში, ურთიერთსარგებლიანი თანამშრომლობის ინტერესებიდან გამომდინარე, შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

1.1. მხარეები ახორციელებენ ინფორმაციის გაცვლას გამოსაკვლევი იშვიათი დაავადებების შესახებ (სამედიცინო კლინიკური მონაცემები, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პროცესი) ერთი მხრივ, და აღნიშნული პროცესების კომპიუტერული მოდელირებისა და შესაბამისი სამკურნალო დიაგნოსტიკური მხარდამჭერი სისტემის შემუშავების შესახებ, მეორე მხრივ;

1.2. მხარეები ერთობლივი სამეცნიერო კვლევების შედეგებს წარადგენენ სამეცნიერო ფორუმებზე და/ან გამოაქვეყნებენ სამეცნიერო ნაშრომების სახით;

1.3. მხარეები აქტიურად თანამშრომლობენ პერსპექტივაში შემუშავებული სამკურნალო დიაგნოსტიკური მხარდამჭერი სისტემის დანერგვასა და მის გამოყენებაში როგორც პედაგოგიურ პროცესში, ასევე უშუალოდ დაავადებების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის გასაუმჯობესებლად.

მუხლი 2

2.1. მხარეებს შორის შემდგომი თანამშრომლობა განხორციელდება წინამდებარე მემორანდუმის საფუძველზე.

2.2. წინამდებარე მემორანდუმი არ ითვალისწინებს მხარეთა შორის ურთიერთფინანსურ ვალდებულებებს.

2.3. ურთიერთთანამშრომლობის ფინანსური წესები და პირობები იქნება ცალკე კონკრეტული ხელშეკრულების საგანი.

მუხლი 3

3.1. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედია 3 წლის განმავლობაში.

3.2. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის მოქმედების შეწყვეტა შესაძლებელია ერთ-ერთი მხარის მიერ წერილობითი განცხადების საფუძველზე.

3.3. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქალაქ თბილისში *2021 წლის 23 აპრილს* ორ ეგზემპლიარად.

3.4. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის შესრულებაზე პასუხისმგებლები არიან:

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბავშვთა და მოზარდთა მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი ყარამან ფაღავა.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი ნუგზარ ყავლაშვილი.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბავშვთა და მოზარდთა მედიცინის დეპარტამენტის მხრიდან	სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის მხრიდან
მისამართი: თბილისი, ლიუბლიანას 21 ტელ.: 599575285	მისამართი: თბილისი, მინდელის ქ.#10 ტელ.: 599-51-21-28
Email: kpagava@yahoo.com	Email: martsistem@gmail.com
დეპარტამენტის ხელმძღვანელი	ინსტიტუტის დირექტორი
ყარამან ფაღავა	ნუგზარ ყავლაშვილი